Oversatt av/translated by:

Semantix

Semantix Translations Norway AS

მსჯავრდებულ პირთა გადაცემა
განცხადება

ქვემოთ ხელმომწერი **[სახელი], დაბადების თარიღი [თარიღი], ამით ადასტურებს , რომ მე**

□ წავიკითხე „*მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ინფორმაცია*“, მივიღე ინფორმაცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ნორმებზე, თანახმად 1983 წლის 21 მარტის მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმისა, ასევე ასეთი გადაცემის იურიდიული შედეგების შესახებ.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე

□ თანხმობას ვაძლევ [ქვეყანა]-ში გადაცემის მოთხოვნაზე ჩემი განაჩენის შესახებ კანონიერი გადაწყვეტილების იქ აღსასრულებლად

□ თანხმობას არ ვაძლევ [ქვეყანა]-ში გადაცემაზე

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი შემოთავაზებული გადაცემის თაობაზე, მიუთითეთ თქვენი თანხმობის/უარის მიზეზ(ებ)ი:

□ თანდართულია სასამართლო გადაწყვეტილების ასლის [ენა] -ზე თარგმანი

□ <u>არ</u> მაქვს სამართლო გადაწყვეტილების ასლის [ენა] -ზე თარგმანი

□ მე ვარ_____ მოქალაქე

[ადგილი], [თარიღი]

[დაპატიმრებული პირის სახელი]

Oversatt av/translated by:
Semantix
Semantix Translations Norway AS

მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ინფორმაცია

1983 წლის 21 მარტის მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ევროპული კონვენცია წარმოადგენს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, რომლებიც ნორვეგიაში მსჯავრდებულ იქნენ, სასჯელის მოხდის მიზნით მათ ქვეყანაში გადაცემის სამართლებრივ საფუძველს. ამ კონვენციის ძირითადი მიზანი არის მსჯავრდებულ პირთა სოციალური რეაბილიტაცია, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვეულებრივ რეაბილიტაცია უკეთესად მიმდინარეობს მსჯავრდებულის ქვეყანაში სასჯელის მოხდის შემთხვევაში.

მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ ნორვეგიის იუსტიციის სამინისტრო და პოლიცია განაჩენის აღმასრულებელ სახელმწიფოსთან თანამშრომლობით. მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ინფორმაცია ჩართულია 20.07.1991 წლის მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ნორვეგიის აქტში.

თქვენი მოთხოვნით უფლება გაქვთ შესაბამის ნორმებზე წვდომის უფლება.

1) ნებაყოფლობითი გადაცემა
მშობლიურ ქვეყანაში თქვენს გადაყვანაზე საჭირო არის თქვენი თანხმობა. ძირითადი პირობა არის იმ ქვეყნის მოქალაქეობის ქონა, რომელშიც გსურთ გადაყვანა.

ამის თაობაზე განცხადება უნდა წარუდგინოთ ციხის ხელმძვანელობას. თუ გსურთ გადაყვანა, სასამართლო გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს იურიდიული ძალა. როგორც წესი, სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფო იღებს გადაცემის მოთხოვნა, თუ სასჯელის მოსახდელად რჩება სულ ცოტა 6 თვე.

2) მსჯავრდებულ პირთა გადაცემა მათი თანხმობის გარეშე
მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ითვალისწინებს მსჯავრდებულ პირთა გადაცემას მათი თანხმობის გარეშეც. ასეთი იძულებითი გადაცემის პირობები არის იმ ქვეყნის მოქალაქეობის ქონა, რომელიც მიუერთდა დამატებით ოქმს, და ნორვეგიიდან თქვენი გაძევება. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, სასჯელის მოსახდელად უნდა რჩებოდეს სულ ცოტა ექვსი თვე.

თქვენ გაქვთ უფლება გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება ასეთი გადაცემის მიმართ.

იმ შემთხვევაშიც, თუ მსჯავრდებული პირის გადაცემის პირობები არ არის შესრულებული, განაჩენის აღმასრულებელი სახელმწიფო არ არის ვალდებული მსჯავრდებული პირის გადაცემას დათანხმდეს.

მსჯავრდებული პირის გადაცემის იურიდიული შედეგები
განაჩენის აღმასრულებელ სახელმწიფოს შეუძლია გააგრძელოს ნორვეგიის განაჩენის აღსრულება ან მოახდინოს მისი კონვერტირება. მეორე ვარიანტის შემთხვევაში კონვერტირებას ექვემდებარება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ვადა. არავითარი პირობების არსებობისას მსჯავრდებული პირის სისხლის სამართლის სასჯელის პირობები არ შეიძლება იქნეს გაუარესებული იურიდიული შინაარსის ან ვადის მიმართ. ეს ნიშნავს იმას, რომ კონვერტირებული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სასჯელის ვადა არ შეიძლება იქნეს უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ნორვეგიაში გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილი სასჯელის ვადა. თქვენი გადაცემის შემთხვევაში გამოიყენება იმ სახელმწიფოს სასჯელის მოხდის წესები, მათ შორის გათავისუფლების წესებიც, რომელშიც მოხდა თქვენა გადაცემა. უმეტესი ევროპული ქვეყნების პრაქტიკაში მიღებულია განთავისუფლება სასჯელის 2/3 მოხდის შემდეგ. თ გსურთ მეტი გაიგოთ თქვენს მშობლიურ ქვეყანაში მოქმედი განთავისუფლების წესების შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ ციხის თანამშრომლებს.

აპელაცია
მსჯავრდებული პირის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე 10.02.1967 წლის ნორვეგიაში სახელმწიფო მართვის შესახებ აქტის VI კარის შესაბამისად. როგორც წესი აპელაცია არ იწვევს შესაბამისი გადაცემის გადავადებას.